ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის, 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და პროგრამული ბიუჯეტის საბოლოო ვერსიის წარდგენა სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე

ოქმი №4

დაბა ხარაგაული. **09 ნოემბერი 2024 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მერის 2024 წლის 01/03 N ბ68.682 406 112 ბრძანებით შექმნილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. **ჭიპაშვილი ვარლამი** - მერის პირველი მოადგილე -თანათავმჯდომარე
2. **დევდარიანი დავითი** - მერის მოადგილე
3. **გოლუბიანი კახაბერი** - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
4. **გელაშვილი ვლადიმერი**-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი.
5. **შარიქაძე პეტრე** - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი
6. **იჩქიტიძე ზურაბ** - სახელმწიფო შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკ. სამსახურის უფროსი
7. **კიკნაძე ნანა** - ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
8. **ლურსმანაშვილი ინგა** - ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
9. **ბანცაძე ზურაბი** - ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი
10. **მაღლაკელიძე ნინო** - საფინანსო-სახაზინო განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის, 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და პროგრამული ბიუჯეტის საბოლოო ვერსიის წარდგენა მუნიციპალიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფისათვის საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისად

მოისმინეს საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლ. გელაშვილის ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათის, 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, პროგრამული ბიუჯეტის დანართის და საბიუჯეტო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანართების შესახებ. სულ წარმოდგენილი იქნა 210 გვერდი.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გარეშე) შეადგენს 18 292,5 ათას ლარს და 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებს აღემატება5 5 037,2 ათასი ლარით 2025 წლის შემოსავლების ყველა სახეში გეგმები არის გაზრდილი.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა (საკუთარი სახსრებით) შეადგენს 19 292,2 ათას ლარს, 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 4 542,1 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტი დანართებით წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ასევე საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი წარედგინება საქართველოს ფინანსტა სამინისტროს.

სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარემ ბატონმა ვარლამ ჭიპაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი შედგენილია ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ კანონპროექტის შესაბამისად და

საბოლოო სახის მიღებამდე მოხდება მისის სახეცვლილება, ასევე ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ კანონპროექტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

დადგინდა რომ 2025 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი თანდართული დანართებით გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს. გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

თანათავმჯდომარე - **ჭიპაშვილი ვარლამი:**

სამუშაო ჯგუფის წევრები:

დევდარიანი დავითი :

გოლუბიანი კახაბერი :

გელაშვილი ვლადიმერი:

შარიქაძე პეტრე:

იჩქიტიძე ზურაბ:

კიკნაძე ნანა:

ლურსმანაშვილი ინგა:

ბანცაძე ზურაბი:

მაღლაკელიძე ნინო :